

მშობლის

ფასი 6 მანეთი.

№ 5.

ტკიბა,
დეკემბრის 21.
1919 წ.

მათრახი

მწარე წამალი.



— დალიე, შელო, მოგიხდება...

— ა მინა ვააა

უბედური შემთხვევა.

ასეთი უცნაური და თანაც სამწუხარო შემთხვევა სხვა არ მახსოვს ჩემს ცხოვრებაში...

სრული შუა-ღამე იყო, აბეზარა სტუმრები რომ წავიდნენ და ჩემს მაგიდას მივუჯექი უღრნალისთვის მორიგი წერილის დასაწერათ. თემა ბევ-



რი მქონდა და უცებ ვერ გადამწყვიტა, რომელი ამერჩია. კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტზე შევჩერდი და მოვემზადე ამ დინჯი დაწესებულების დასაწვდომად. ის იყო კალამი მოვიმარჯვე, როდესაც ჩემი ოთახის კარის მხრიდან ფრთხილი კაკუნი გაისმა.

— ვინ უნდა იყოს?—გავიფიქრე მე.

ჩვენებს ყველას ეძინა კიდევ და მთელი ბინა მყუდრო სიჩუმით იყო მოცული.

ნამდვილად, ჩემი პატარა ფინია არის, კარებს იქით სცუტკის და იფხანს, და მისი თათის იატაკზე რაკუნი კარებში კაკუნათ მომეყურა!

პირველი სიტყვა რომ დავეწერე, კაკუნი კვლავ გამეორდა, ისევ ფრთხილად, მაგრამ უფრო ხანგრძლივად.

არც ეხლა ვუგდე ყური და მუშაობა განვაგრძე. მხოლოდ მაშინ კი, როდესაც მესამეჯერ მომესმა კაკუნი, კარებისკენ მივიხედე და—შემოდით მეოქი—დავიძახე.

კარი ფრთხილად გაიღო და მორიდებით შემოვიდა ვიღაც თეთრ წვერა მოხუცი, მალალი და ახოვანი, მაგრამ ძლიერ გამზღარი და ფერმიხდილი. შემოვიდა და კარებთანვე გაჩერდა.




— დიდ ბოდიშს ვიხდი, ბ. თავუნა, რომ ასეთ უღროო დროს გაწუხებთ, მაგრამ გაჭირვებული გახლავარ, თქვენს იქით გზა არსადა მაქვს და გთხოვთ, ათიოდე წუთი ჩემთვის გააცდინათ!

ისეთი მიღებული ხმა მქონდა სისუსტისაგან და თანაც ისეთი ტკბილი და მომხიბლავი, რომ გულში რაღაც თბილმა გრძობამ გაიპარა. სახეც იმ ზომამდე მადლიანი და კეთილშობილი მქონდა, რომ მე პატივის ცემით წამოვდექი,—მობრძანდით-მეთქი,—ვუთხარი და სკამი დავედგი.

სტუმარმა ერთხელ კიდევ მოიხადა ბოდიში, მთხოვა, ჯერ მე დავმჯდარიყავი და მხოლოდ შემდეგ დაჯდა ჩემგან მიწოდებულ სკამზე.

უხმოლ ილიმებოდა. ვატყობდი, ჩემმა ზრდილობიანმა მოპყრობამ ასიამოვნა და მეც მიხაროდა გულში, რომ ეს მსტოვანი და კეთილშობილი ადამიანი ჩემთან კარგათ გრძობდა თავს.

— რას მიბრძანებთ?—ვკითხე მკირე სიჩუმის შემდეგ.



ლიმილი გაუქრა და თვალეში ისევ საშინელი დაქანცულობა და უილაჯობა დაუშვკიდრდა.

— უბინო გახლავარ, ბატონო თავუნა, ქუჩაში გამოგდებულნი! არსად თავშესაფარი, არსად შემწე და მეოხი!


მოხუცს ხმა ჩაუწყდა და თვალეში აუცრემლდა. ჩემთვის ისე მოულოდნელი იყო მისი სიტყვები, რომ სახტად დავრჩი, რაღაც კი წავილულულე ქალაქის გამგეობისა და ბინის კომიტეტების შესახებ, მაგრამ სტუმარმა გამაწყვეტინა.

— თქვენ მე ვერ მიცანით, როგორც ვატყობთ, ბ. თავუნა,—საყვედურით მითხრა მან:—მამა თქვენი, თქვენი პაპა და წინაპრები კი კარგად მიცნობდნენ, დიდი მეგობრები გახლდნენ ჩემი... თქვენ კი ვერ მიცანით!—კიდევ დაუმატა მან უფრო მწარედ და გაჩუმდა.

შემრცხვა. „ვინ უნდა იყოს ეს უცნაური კაცი, რომელსაც თურმე არა თუ მამა-ჩემი, პაპა-ჩემიც და, ასე გასინჯეთ, ჩემი წინაპრებიც მეგობრებად მყოლია!—ფიქრობდი მე: სულით ავადმყოფი ხომ არ არის?“

— დიოლ, ბატონო თავუნა!—განაგრძო ცოტა დუმილის შემდეგ სტუმარმა: განა მარტო თქვენი

წინაპრები? მთელი საქართველო პატივს მცემდა მუღამ, მფიღვან მოკიდებული ვიღრე უბრალო გლეხ-



კაცამდე. ყველგან ისე ვიყავი მიღებული, როგორც ღვიძლი და ნათესავი... ეხლა კი...

კვლავ შეჩერდა და ხმა აუკანკალდა. ეტყობოდა, აუტანელი შეურაცყოფის გრძნობას განიცდიდა... „ნამდვილად ავადმყოფია!“ — გადაფწყვიტე მე.

— უკაცრავად, ბატონო! ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჯერაც ვერ გიცანიო! თუ შეიძლება დღეს, გამომიყვანეთ ამ უხერხულ მდგომარეობიდან და მიბრძანეთ თქვენი ვინაობა! — ვთხოვე მე.

სტუმარმა თვალი გამისწორა, ცოტა ხანს უსიტყვოდ მიცქირა და შემდეგ ნელა, დინჯად და გარკვევით წარმოსთქვა:

— მე, ბატონო, **ზრდილობა** ვახლავარ!

ის გრძნობა, მე რომ ამ სიტყვების გაგონებაზე განვიცადე მხოლოდ იმ გრძნობას შემიძლია შევადარო, რომელიც ალბად პეტრე მოციქულმა განიცადა მაშლის ყვილის დროს, ქრისტეს სამჯერ უარყოფის შემდეგ.

სტუმარი მიმიხვდა, რა ცეცხლიც ტრიალებდა ჩემ გულში და დამამშვიდა.

თქვენდა სასაყვედუროდ არ გხლებივარაქ, ბატონო თავუნა! მე თქვენთან საჩივრულად გეახელი, გულის მოსაოხებლად! ყველგან გამომაგდეს, საქართველოს დედა-ქალაქში ბინა ვერ მიშოვნია... ძაღლს არ გაიმეტებენ ისე, როგორც მე გამწირეს და გაჰიმეტეს... და აი, როცა ვიგრძენი, რომ ჩემი დღეები დათვლილია, ისე მომწყურდა ვისთვისმე

გამქდავება ჩემი გულის ნადებისა, რომ ველარ მოვითმინე და შემოვვიდი... მპატივით, ბატონო, კანდიერი საქციელი.. გაპირებამ მიძულა!..

მოხუცმა დაისვენა და განაგრძო:

— მერე, რომ იცოდეთ, როგორ მოუთმენლად ველოდი დღევანდელ დღეს, როგორის გულის ფანტკალით ვნატრობდი იმ დროს, როდესაც ქვეყანას სათავეში ის ხალხი ჩაუღვებოდა, რომელიც თავის მოთხოვნისებებში „ზრდილობიან მოპყრობას“ არასოდეს იფიწყებდა... მახლას, ბატონო თავუნა! როგორ გამიკუდდა იმედები! .

ზრდილობამ მწარედ ამოიკვნესა.

— სწორედ იმათ შემაგინეს და შეურაცყვეს, ვინც წინად ჩემს მზეს ლოცულობდნენ... ამ თეთრი თმა-წვერისთვის მაინც დაედოთ პატივი!..

საბრალო მოხუცს ხმა თან და თან უსუსტდებოდა და ძლივსა მესმოდა მისი სიტყვები. ყველაზე უფრო საშინელი ის იყო, რომ მე ერთი სანუგეშო სიტყვაც კი ვერ მეთქვა მისთვის, ერთი გამამხნეველები ხმაც კი ვერ ამომელო.


— ყველა დაწესებულებიდან გაჰოშავდეს; არა თუ სამილიცია უბანში და საპყრობილეში, სამინი-



სტროებში აღარ მიშვებენ... ერთ დროს მთელ საქართველოსთვის სათაყვანებელი და პატივსაცემი — დღეს სამოწყალოდ გასაკითხავი ლტოლვილი გავხდი და ღობის ძირას უნდა ამომხდეს სული!..

მოხუცი შეჩერდა, ხელი ყელთან მიიტანა, თითქოს სული ეხუთებოდა, სულთქმა გაუხშირდა და ძლივს მანიშნა ხელით, წყალი მომიტანეო.


მე მაშინვე გავიქეცი და ოთახში რომ დავბრუნდი, სკამის ზურგს მიყრდნობოდა, ხელები



დაბლა დეშვა, თითქოს მოსწყვეტიაო და თვალები დაეხუჭა. წყალი რომ დავაღვიწინე, თვალი გაახილა და ძლიერ-ძლიერით წარმოსთქვა:

— მახატით, ბ. თაგუნა, ამდენი უსიამოვნობისათვის... ვგრძობ, რომ ვცდები... გთხოვთ... მიპატაე-ბია... ყვე-ლასა-თვის... მხო-ლოდ... მო-მარ...

ველარ დაათვა საბრალომ და სული განუტევა. რა უნდოდა ეთქვა ბოლოს, არ ვიცი. ვფიქრობ და ვერ მივხვდარვარ, რა უნდა ყოფილიყო მისი უკანასკნელი სიტყვა, რომელიც ვერ დაამთავრა: „მო-მარჩინეთ,“ „მომარაგების,“ თუ კიდევ სხვა რამე?



განსვენებული ზრდილობა ეხლაც ჩემს ოთახში ასვენია. ვთხოვ საქართველოს მთავრობას და მის დაწესებულებებს, მოუარონ თავიანთ მიცვალეზულს და დროზე დაასაფლავონ, თორემ მე, როგორც დასაწყისშივე მოგახსენეთ, მორიგი წერილი მაქვს დაწყებული ქართულ უნივერსიტეტის შესახებ და ოთახში ველარ შევსულვარ დასამთავრებლად.

თაგუნა

სახალხო გვარდიას *)

მჩაგვრელთა ლახვარხო, ჩაგრულთა გუშაგხო, საერო დიდებავ, სახალხო რუშაკხო, ახალი ქვეყნისა ხუროვ და მჭედელხო, წინსვლის და კულტურის ფუძევე და კედელხო, უფლებების დარაჯხო ხალხის და ერისა, თავზარის დამცემხო აფთარი მტერისა, შრომისა შეილებო, ბრძოლაში პირველხო, სახალხო ტრაპეზზე მსხვერპლისა მწირველხო, ჩაქუჩიც ხელთა გაქით, თოფიც მხართ გკილია, გუთონითაც ამაგი ოქვევგან ხომ დილია! შრომის და უფლებების თქვენ იცავთ ალამსა, გრძობით და გონებით მოგძიდვნი სალამსა.

ბუტუნა.

*) ეს ლექსი უნდა დაბეჭდილიყო გვარდიის ნომერში, მაგრამ ავტორს დეპეშით გამოუგზავნია და ველარ მოუსწრო.

ნინო ჩხეიძის ქალის იუბილე

დღეს მთელი ქართველი ერი გაერთიანებულ გუნდს წარმოადგენს და ამ გუნდის მწყობრი, ჰარმონიული გალობა ქებას და მადლობას უძღვნის ნინო ჩხეიძის ქალს მისი 25 წლის მოღვაწეობისთვის.

ჩვენი ჟურნალისთვის არც აქამომდე ყოფილა სავალდებულო ე. წ. საზოგადოებრივი აზრი და არც ამიერიდან იქნება.

და აი, იმ დროს, როდესაც ჰაერს ეს ხმა-შეწყობილი ქების საგალობელი არუცვს, ჩვენ საკმაოდ მოგვეხოვება მოქალაქობრივი გამბედაობა, რომ ამ საერთო ხოტბის დაღაღსში სოლივიტ შევიქრათ ჩვენის განსხვავებულის ხმითა და ნინო ჩხეიძის ქალს გამოვუცხადოთ არა მადლობა და აღტაცება, არამედ:

— მკაცრი გულის წყრომა და გულწრფელი საყვიღური!

ნინო ჩხეიძის ქალი-მსახიობი, ნინო ჩხეიძის ქალი—ადამიანი, მთელი მისი მოღვაწეობა და მთელიმისი კერძო ცხოვრება ჩვენთვის, „ეზმაკის მათრახისათვის“, ყოვლად უსარგებლო იყო. მართლა ცდა, რა ფასი უნდა ჰქონდეს ჩვენი ჟურნალისათვის იმ ხელოვანს, რომელიც ხელოვნების ტაძარში ერთხელაც არ წამორჩალებულა და იმ ადამიანს, რომელიც ზნეობის გზაზე ერთხელაც არ შეფერხებულა?

რა დააკლდებოდა ნინო ჩხეიძის ქალს, რომ თუნდაც ერთხელ სცენაზე მთვრალი გამოეულიყო, ან ერთხელ მაინც როლის დასწავლა დაერწყებოდა და სუფლიორის კარვისაკენ დაეწყო ცქერა, ერთი ქართული სიტყვა მაინც დამეხანჯებია, რომლისამე საკულისო ინტრიგის სულის ჩამღმეღლად გამხდარიყო!..

მაშინ შესაძლო იქნებოდა, ჩვენც მხურვალე მონაწილეობა მიგველო მის დღესასწაულში.

ეხლა კი ნურას უკაცრავათ, ნუ დაგვემღურება: ბრალი მისია და არა ჩვენი. ჩვენ ის გვამხნევეს და გვანუგეშებს, რომ ნინო ჩხეიძისთან ადამიანი თითზე ჩამოსათელვლად მოგვეხოვება, თორემ ჩვენი ჟურნალის არსებობა შეუძლებელი გახდებოდა!

მაშ გიხაროდეს და განცხებოდე, ქართველო ერო!

დღეს შენი დღესასწაულია! შენი მოღვაწის იუბილეა და შენ გამართებს სიხარული და სიცილი. მაგრამ გახსოვდეს, რომ ჩვენცა გვყვანან მოღვაწეები და ჩვენც მოგველის არა ერთი და ოარი იუბილე.

მაშინ დადგება ჯერი ჩვენი სიხარულისა და სიცილისა, ხოლო გემრიელად ის გაიციწებს, ვინც ბოლოს გაიციწებს!

ახალი უებარი წამალი ეოველგვარ სენისათვის

„ეშმაკის მათრახი“

ეველა ექიმები ერთხმად აღიარებენ, რომ „ეშმაკის მათრახი“ ნამდვილი რეკლამაცია მოახდინა სამეურნელო შეცდომებში.

„ეშმაკის მათრახი“ ქიმიურ ლაბორატორიების გამოკვლევის თანახმად წარმოადგენს შესქელებულ სიცილს, რომლის წვეთები ჭკურნავს ეოველგვარ სნეულებას.

„ეშმაკის მათრახი“ ხელს უწყობს სისხლის მოძრაობას და სწობს სისხლ-ნაკლებობას.

„ეშმაკის მათრახი“ ჭკურნავს ჭლექს, რადგან სიცილისაგან სკდება ფილტვის მუწუკები.

„ეშმაკის მათრახი“ სწობს კუჭის კატარს.

„ეშმაკის მათრახი“ ჭკლავს მელანქოლიის ბექტერიებს!

„ეშმაკის მათრახი“ წარმოადგენს აგრეთვე უუნოეიერეს ნივთიერებას: დღევანდელ შიშილობის დროს „ეშმაკის მათრახი“ — მისწრება: ვინც სანოვაციის ნაკლებობას განიცდის, ვურწევთ შეიძინოს „ეშმაკის მათრახი“ და წაუკითხოს მშვიდგონებები: — სიცილი დაავიწყებს მათ შიშობილს!

ექიმებმა საბოლოოდ შეიმუშავეს შემდეგი რეცეპტი „ეშმაკის მათრახის“ წამლისა.

Rp. „ერთობა“ — 0,0.

„საქართველო“ — 0,00.

„სახალხო“ — 0.000.

„ეშმაკის მათრახი“ — 100.0.

M. D. S. თითო ცალი, კვირაში ერთხელ.


ვახსნადვით ყველას საუზრადღეობით რომ აუთიამება დაიბაცოს „ეშმაკის მათრახი“ და, ჩვეულებრივად, ერთი ათასად ჰყიდიან ამ უებარ წამალს.

ახქარდით და შეიძინეთ ზირდაზირ ჩვენგან.

ჩვენთან დირს — ცალი 6 მანეთად.

ახვლედიანის და სხვა აფთიხეებში — ცალი 6000 მანეთად.

შავი გენერალი.



შლინა

დენიკანი. ჩემი ბრძანების თანახმად არსებობს მხოლოდ ერთი და განუყოფელი რუსეთი. გიბრძანებთ, დაუყო-
ნებლივ შემოგვიერთდეთ!
მახუნი...

სოციალიზმი.

ეს სოციალიზმი ნამდვილად ჩემისთანა ოხრე-
ბისათვის არის მოგონილი მე და ჩემმა ღმერთმა!
რამდენიც გინდა: ქაშე, სვი, ჩაიცივი, დაიხურე, ღვი-
ნო, დუდუკი, არლანი, ზურნა, აკვრევენ და აკვ-
რევენ! ფაიტონი, კონკა, ავტომობილი, სულ
უფულოთ, სულ ბესპლატნათ!.. გადამბრუნდი და
გადმობრუნდი! სამოთხეა მაშ რა ჯანაბაა, ხალხნო!
ვა, ვა, ვა! ბალშევიკებო, თქენი სულის ჭირი-
მე! იესო ქრისტეს ნასღედნიკები პრიაშოთ თქვენა
პყოფილხართ რაღა უფლის მადლმა! რამდენი პარ-
ტია გამოვიცვალე, რამდენში ჩავეწერე და ამოვე-
წერე, მაგრამ ამ ბალშევიკებისთანა პაგრამა ჯერ არ
გამიგონია ქრისტეს მადლმა!

ამოხე თუ: „ვისო დღია ბედნიხო.“ ჩვენც მე-
ტი რა გვიინდა! თუ შნო გვაქვს, მოუშვათ ქაშარი
და გამოვძღვით, მე შენ გითხრა, ანტიტის კაპლები
არ დაგვიკირდეს, აი!

აი დროება, აი ახალთაობა, აი პარტია ამისთანა
ინატროს კაცმა! ჯან, ჯან, ბალშევიკებო, თქენი
სულის ჭირიმე! რას ამოხ, ეე!.. სადაც გინდა, შალი,
გამოდი, რამდენიც გინდა იქიფე... ერთი სიტყვით:
აქაც პაჯან, იქაც პაჯან, სადაც წახვალ სულ ბა-
ლაჯან! შიკ, შიკ, მეღა ჩემმა ღმერთმა! ყველაფე-
რი საერთო, ყველაფერი ობჩესტვენი, კაცო, ამას
რა სჯობიან!

ამ პირძალდ ბალშევიკების ყველაფერი მამწონს,
მაგრამ ღმერთი ყველაფრით უნაკლულოს რომ არ
გააჩენს ადამიანს ეს არის ნესჩასტია! ძალიან კარ-
გია, ყველაფერი საერთო, ობჩესტვენი იცოს, ძა-
ლიან კარგია ეს ცოციალიზმი, მაგრამ ეს ქალების
ცოციალიზმი არ მამწონს! რაც მართალია, მართა-
ლია!

დუდაკაცი კუკლასავით შამინახია და, როგორ,
ჩემი შუშანა სხვას გაუხადო ობჩესტვენათ?!...
ვა, ეეე, ჭკვანე მოდი, ბნელა?!...
ერთხელ ფეხის გულზე რწყილმა უკბინა შუ-

შანს და მთელი დამე პარაბელუქი ლევროვი დაესდევდი რწყილს მოსაკლავათ, ხან წინ გავაგდე ლევროვი, ხან უკან და ახში მაინც მოვკალი ის ჩემი საპერნიკი. დედაკაცისათვის რწყილი არ მიმიკარებია და როგორ, ეხლა ის სხვას მივსცე საომჩესტუოთ?!.. არა, არა, ეგრე არა სწირავს ჩვენი ტერ პოლოსა!

მაშა, მაშა, მე ვაქამო, ვასო, გავასუქო დასხვის საჯიჯგნათ გავხადო?! მწ... არა, ძმაო, არც ცოციალიზმი და მუქი ქეფი მინდა და არც ბალშევიკობა.

დევ, ისევ ჩემი ვქამო, ოლონდ ჩემი შუშანა ჩემთან იჯდეს და აბნიმიტის მე მიშვებოდეს. აფსუსი არ არის რომ ჩემს საზამთროსავით გარგვალეზულ შუშანას სხვამ უცაცუნოს ხელი და მე შორიდან ტავარიში ვეძახო!!.

პართალია სხვის დედაკაცს მე წაუცაცუნებ ხელს, მაგრამ არა, ძმაო, არც ჩემი ცაცუნი მინდა და არც სხვისი ნაცაცუნები!..

გოგია.

ჩემი ბიუჯეტი მომავალი კვირისათვის.

	დეკ. 22 ორშაბათი		დეკ. 23 სამშაბათი		დეკ. 24 ოთხშაბ.		დეკ. 25 ხუთშაბ.		დეკ. 26 პარასკევი		დეკ. 27 შაბათი		დეკ. 28 კვირა	
	მან.	კ.(?)	მან.	კ.(?)	მან.	კ.(?)	მან.	კ.(?)	მან.	კ.(?)	მან.	კ.(?)	მან.	კ.(?)
1 ერთი გირვანქა პური (ქვიშა-ნარევი)	14	—	15	—	16	—	17	—	18	—	19	—	20	—
2 ორი ჭიქა რძე (წყალ-ნარევი) . .	10	—	12	—	14	—	18	—	20	—	22	—	24	—
3 მისი საჭირო შაქარი (მტვერ-ნარევი)	5	—	8	—	7	—	11	—	12	—	13	—	17	—
4 ორი კვერცი (ლაყე-ნარევი) . .	5	—	6	—	7	—	9	—	10	—	11	—	13	—
5 ერთი თევში ხარჩო (ძვალ-ნარევი)	10	—	13	—	15	—	17	—	18	—	21	—	25	—
6 ერთი პორცია შავი პურის კატლეტი (ხორც-ნარევი)	12	—	15	—	19	—	25	—	31	—	39	—	45	—
7 ერთი ჭიქა ღვინო (წყალ-ნარევი)	5	—	7	—	11	—	15	—	18	—	21	—	25	—
8 ერთი გირვანქა სხმარტლი (კარგ-ნარევი)	6	—	8	—	9	—	13	—	18	—	20	—	27	—
ს უ ლ	67	?	84	?	98	?	125	?	145	?	166	?	196	?

ეშმაკ .

ინგლისური პრესის აზრი ქართული ფლოტის შესახებ.

თეთა პალატაში მეტად მწვავედ დადგა საკითხი ფლოტის მდგომარეობის შესახებ, რომელსაც უკავშირებენ საქართველოს მიერ ფლოტის გაძლიერებას.

პალატის ანგარიშებიდან ჩვენ ვცხოვობთ რომ ლოიდ ჯორჯს წარმოუთქვამს სიტყვა, რომლიდანაც საკმაოდ ირკვევა საფუძვლიანი შიში დიდი ბრიტანეთის დღევანდელ ხელმძღვანელთა.

ჩვენო-სიტკვა ჯორჯმა — ბონარლოუსთან ერთად რამოდენიმეთ ვეთანხმებით ბალფურს, რომ ის პატარა სახელმწიფო აზიაში, რომელიც ისედაც თავის დიდ საზღვაო ძალას კვლავ აძლიერებს და ამით მომავალში ბევრ შესაძლებლობას გვიყენებს წინ.

დღეს დღეობით კი ინგლისი ვერ შეასრულებდა თავის მოვალეობას მოკავშირეთა წინაშე, რომ

მას რაიმე სეპარატიული ნაბიჯები არ გადაედგა ამ მხრივ.

ყოველ შემთხვევისათვის — ამოიბს ჯორჯი — ჩვენ ვეცდებით დაუცადოთ ამერიკის მოქმედების გეგმას მოულოდნელ, ან ამ მოსალოდნელ საფრთხის წინააღმდეგ.

შოლოდ ამის შემდეგ ჩვენ გვექნება საშუალება კონკრეტულ ზომებზე ვილაპარაკოთ, რაზედაც მოგვეცემა შემთხვევა შემდეგ სხდომაზე გავცეთ შესაფერი პასუხი შესაძლებლობის ფარგალში.

დღეს დღეობით მთავრობას ამაზე მეტი ცნობების მიცემა შეუძლებლად მოაჩნია და თქვენ ექვს გარეშე არ ჩააყენებთ მას ისეთ მდგომარეობაში, რომ მან მსჯელობა იქონიოს ისეთ რამეზე, რაც საპერმისიოთ გავლენას მოახდენს მომავალ შესაძლებლობაზე.


მოჰყავს რა ეს ცნობა, გაზეთი „ტაიმსი“ სწერს: „პალიასტომის ნაპირებზე ინგლისის ფლოტს მეტოქე უწინდება. მეტი სიფხიზლე და სიფრთხილე, ვიდრე გვიან არ არის“.

ფოტო.



სიძვირე. (ჯამაგირის მატებას) ჩემო კარგო, თავს ტყუილი იწუხებ: რომ გ-სკდე! მაინც ვერ დამეწევი.

იგი წაუბა და კვლავ მოუბა ტურფასა საბადნაროსა.



ქ. თფილისის განწმენდა ზელმეტ მცხოვრებთაგან ჩინებულათ მილის.

წ რ დ ი ლ ო ბ ა .



შახნელე. დედაკაცო, არ უნდა დაივიწყო, რომ მთავრობის ნოხელის კაბინეტში ხარ, სადაც ზრდილობა ერთობ საჭიროა.

ოფიციალური დებუშები.

იუენი ფრონტ.

ტყვიავი. გათენებისას შეტაკებაში დაიღუპა ტყვიაველი ღორი.

გორი. ბრძოლაში დაღუპული ღორი ღამით დასაფლავეს. დასაფლავებაში მონაწილეობას იღებდა მთელი შოფერები. სიტყვა წარმოსთქვა გო-მა.

გორი. ფრონტის მთავარ სარდლის გოგობე-

ლოვის განკარგულებით გორში აიკრძალა „ხანუ-მას“ დადგმა.

როკა. იუენი ფრონტზე საზღვარ გარეთ მიმავალ სტუდენტებით სავსე ეშალონ პრიბილ. გენ-ინტენფანტერ გოგიბელოვა შემდეგი სიტყვით მიმართა: ბრატკი!.. რადგანაც წასვლა ვი აპაზდალი, როკაში უნდა დარჩეთ, დო აკანჩენიე ვოინი. სტუდენტები სარდალს ვაშას ძახილით შეეგებენ.

ჯავა. ღამით მთავარ სარდალი გოგიბელოვი

ყველა ჩასტებს ატყობინებდა, ნორ პრაშლო სპაკონო.

(სეკრეტო)

იუშენი ფრონტიდან

მის აღმატებულებას მთავარ სარდალს ეშმაქს.

დანესენიე ვესმა სრონხოთ

ტრუსოს ხეობაში ედისის მიმართულებით ბრძოლა მკაცრ ხასიათს ღებულობს. როკის უღელტეხილზე არტილერიისკი ბოი. ბახვანდაკის თავში რუყენი სტრელბა იდიოტ... ცუდი ტაროსი, ჯანყი ბურუსი, ნისლი და თოვლი ბაგრატ-ბაგრატიონის ლაშქარის დვიჟენის ოჩენ ჰამეშაეტ...

უტრომ ბაგრატ-ბაგრატიონის შეტევამ მკაცრი ხასიათი მიიღო, ჯანყი-ბურუსი გაიფანტა... აღმოსავლეთით ვენერამ და მარსმა გამოუნათა... ბაგრატ-ბაგრატიონსკი და დედენა. შედგეგი გამოურკვეველია. მდგომარეობა აპასნი... ჩტო ბუდეტ დალშე დანესუ ზაეტრა.

კამანდუში ფრონტომ გენ-ინტენფანტერ გოგიბელოვ.

რკინის გზის ქრონიკა.

● მოულოდნელად მთელი რკინის გზის სადგურები დაიჭრა შეიარაღებულმა ავსტრიის ჯარმა. მცხოვრებნი საშიშ მდგომარეობაში არიან. საქირა საჩქაროდ ჯარის მიშველება და განთავისუფლება მოულოდნელ მტრისაგან.

● რედაქციამ მიიღო დამატებითი ცნობანი. სადგურების ავსტრიელების მიერ დაჭერა სიცრუე გამოდგა. ისინი თურმე ავსტრიელები კი არა ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი მილიციონერები ყოფილან. მცხოვრებთა შორის სიმშვიდე დამყარდა.

● სამმართველოში მოსამსახურეთა გორის დასარიგებელი პური სპეციალურმა კომისიამ შეამოწმა და გამოიკვია, რომ იგი საუკეთესო მასალა ფანჯრებისათვის „ზამსკის“ მაგივრად სახმარებლად.

● სამმართველოს მოსამსახურენმა მადლობის აღრესი წარუდგინეს მთავარ აღმინისტრაციას, რადგან მან დიდი მზრუნველობა გასწია და ყველას დაურიგა შეშა. მოსამსახურეთა სიხარულს საზღვარი არ აქვს.

● ვილაც კეთილ ადამიანს ლამე გაუტეხნია რკინის გზის სასურსათო მაღაზია № 1 და ჩუმიდ შეუტანია შიგ 10000 არშინი ჩითი, 2000 ნაჭერი ჩოხის შალი, 100 ბოქკა ზეთი, 1000 ფუთი ბრინჯი, 500 ფუთი ლობიო, 500 ფუთი კარტოფილი და სხვა სანოვაგე. კეთილ ადამიანის პიროვნება ჯერ გამოურკვეველია.

● დაუღალავ აღმინისტრატორს აბელაშვილს

გამოუანგარიშნია რომ მას დაუწერია წერილები რედაქციის მიმართ რკინის გზაზე სხვა და სხვა შემთხვევებისა გამო რიცხვით 1000, ამის გამო იგი იუბილეს მართვას, შემდეგ კვირას. მისალოცი დეპეშები უნდა გაიგზავნოს პირადათ მის სახელზე.

● კვანძის კულტურულ-განმანათლებელი კომისიასთან არსებულ დრამატიულ წრეს განუზრახავს განიმეოროს საზოგადოების სურვილის თანახმად 10 ჯერ პიესა „იუდას კოცნა“. თუცა რეპერტუარი ვრცელი აქვთ მაგრამ საზოგადოების სურვილს ვერ აუხვევენ.

● იმავე წრის უკანასკნელ წარმოდგენაზე აუარებელი გულწასული მაყურებელი აღმოჩნდა, რადგან დარბაზი მეტის მეტად გაეთბოთ. საქირა ყურადღება მიექცეს ამ შემთხვევას და შემდეგში დაზოგვით იხარჯოს შეშა დარბაზის გასათბობად.

გ. ვარდენიშვილი.

ბათუმის ქრონიკა

ამ ჟამათ აქ მჭინვარებს საბჭოთა ებიდემია, ეს საშიშარი სენი შემოტანილ იქნა პირველად ბათუმის 9 მართველი საბჭოს მიერ, რომლის მსხვერპლი თვით გახდა, როდესაც რიცხვი 9-ან ავიდა 13.

ეს სენი შემდეგ გადაედვა ქალაქის საბჭოს და დიდ ტანჯვა-წვალების შემდეგ ამანაც დალია სული. ამბობენ თებერვალში იქნება მეორეთ მოსვლა და ქალაქის საბჭოც ადგებოა. ამისი რა მოგახსენოთ, მხოლოდ ერთი კი ვიცი: ქალაქის ახლად შექმნილ გამგეობის ერთ წევრად მოწვეულია ანისიმოვი-ძველ ცნობილი წევრი ნეტარხსენებული მართველ საბჭოისა.

ამ უკანასკნელ დღეებში ამ უღმობელმა სენმა იმსხვერპლა სასურსათო საბჭოც. ასეთი მდგომარეობა დიდ შიშს იწვევს დანარჩენ საბჭოებშიც. ამბობენ ზოგიერთ საბჭოებს ბათუმიდან გახიზნა გადაუწყვეტიაო.

თავდაცვამ ძალიან იკლო აქ. ამ მოვლენას ბევრი ხსნის იმით რომ ბათუმში გამოცხადებულია სალყო წესები. ნამდვილი მიზეზი ამისი კი ის არის, რომ დენიკინის ფულებმა სრულიად დაკარგა ღირებულება.

აქ არსებობს პროფეს. საბჭო ე. ი. უკეთ რომ ვსთქვით ბოლშევიკური. ამ საბჭოს ჰქონდა თავისი ორგანო „შრომის ხმა“. მაგრამ თქვენ მართლა არ გვეგონოს რომ იქ ისმოდა ხმა მშრომელისა. არა! იქ იწერებოდა მხოლოდ ლანძღვა გინება საქართველოს რესპუბლიკისა. მეორე ადგილობრივმა შავრაზშელთა ორგანომ „ნაშ კრია“-მ პლაგიატობა შესწამა პირველს და პასუხისგებაში მისცა. საქმე ამ დღეებში უნდა გაიჩრეს.

იშვიათად დაატყდება ქართველი კაცის თავს ისეთი ბედნიერება, როგორც ყოფილ ბათუმის ქართული გიმნაზიის დირექტორს მოულოდნელათ დაატყდა. სულრადაც 49 დღის დირექტორობას დრო არამც თუ გიმნაზიის კედლებში, არამედ ფართე საზოგადოებაშიც დამსახურა ისეთი დიდი ავტორიტეტი, რომ მოახერხა ორი უკიდურესი მემარცხნე პარტიების შეერთება ადგილობრივი, როგორც ნაც. დემოკრატები და ფედერალისტები. ეს აქტი დაგვირგვინდა 10 დეკემბერს გამართული ბანკეტით მის პატივსაცემლად (მის პატივსაცემლად ცემაც კი ყოფილა გიმნაზიაში.) შეზარხოშებულ ბანკეტისტებს მის სახელობაზე დაუარსებიათ 800 სტიპენდია, თუმცა გიმნაზიაში შეგირდთა რიცხვი არ აღემატება 600 ფულად შეუგროვებიათ 120 მილიონი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მომავალ სექტემბრისათვის ავაშენოთ საკუთარი შენობა გიმნაზიისათვის და ამით საბოლოოდ მოისპოს საკითხი გიმნაზიის ბინისა. დარჩენილი თანხა უნდა მოხმარდეს ქართული ეკლესიის შენობის დამთავრებას, რომელიც აგერ 99 წელია რაც შენდება და რომლის დამთავრებას, როგორც ამას ჩაგვიჩინებს ბ-ნი ჩიბუხი ყოველფეხის გადადგმაზე, ექნება დიდი პოლიტ. მნიშვნელობა ბათუმის ბედის გადაწყვეტაში.

X.

მიწერ-მოწერა.

(სურათი სტუდენტების ცხოვრებიდან).

განათლებულმა კაცობრიობამ მრავალ გვარი მიწერ-მოწერა იცის: არის მიწერ-მოწერა დიპლომატიური, რომელსაც უმთავრესი ადგილი ეკირა დღემდე თანამედროვე სახელმწიფოთა ცხოვრებაში. არის მიწერ-მოწერა ნოტებით. ეს დარგი მიწერ-მოწერისა ხშირად უკმაყოფილების გამომხატველია, ხშირად კი მუქარისაც, ხოლო ზოგჯერ პირველსაც შეიცავს და მეორესაც.

ყველა ზემოხსენებული დარგი მიწერ-მოწერისა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა. ჩემი საუბრის საგანი სამწუხაროთ, კერძო ხასიათის მიწერ-მოწერა არის, თუმცა ამ კერძო მიწერ-მოწერას ავტორისათვის ბევრჯერ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოთ, მიწერ-მოწერა, რა დარგისაც არ უნდა იყოს იგი, სივრცის დასაძლევად არის შემოდებული, ... თქვენ ესეც გაგიკვირდებათ, რომ ჩემი „მიწერ-მოწერა“ სივრცის დაძლევას კი არა, არამედ სირცხვილის ძლევისა და კრძალვა-შიშის სახეზე გამოქმედებების აცდენას უფრო ისახავს მიზნად.

მიწერ-მოწერა სიყვარულშიც ხშირათ დიდ როლს თამაშობს მანძილის გადალახვის გარეშეც, უმეტესად მაშინ, თუ კრძალული ხარ და გეშინია

თანამედროვე სურათები



გარეგნული ქერქი ამ ვაებატონისა თითქმის 70000 მანეთი ღირს, მაშინ როცა მისა შინაგანი ღირებულება გროშს არ აღემატება.

გრძნობათა დღევამ არ წახდინოს საქმე. ეშველა... როგორც იქნა მიუახლოვდი ჩემი „მიწერ-მოწერის“ საგანს. ეს მიწერ-მოწერა აუდიტორიაში მოხდა, უნივერსიტეტში. იქნებ იკითხოთ, სად ასეთი მიწერ-მოწერა და სად მეცნიერების ტაძარი... საქმეც მაგაშია, რომ მეცნიერების ტაძარს ასე ცალ მხრივად არ უნდა შევხედოთ. გარდა მეცნიერებისა, ის მოსასვენებელი ტიპრიც არის და სატრფიალოც. ვინ არ იცის, თუ რა მძიმე და აუტანელ პირობებში უხდება ცხოვრება თანამედროვე მოქალაქეს და უმეტესად სტუდენტებს, მოქალაქეთა ამ ერთობ შევიწროებულ კატეგორიას. ისინი მთელ

დღეებს შრომაში ატარებენ, რომ ნახევრად მაინც გაიძღონ კუჭი; ამის შემდეგ დაქანტულნი ეწვევიან მეცნიერების ტაძარს, რათა დალილი ძელები იქ მოასვენონ. ის არის ერთად ერთი ადგილი, სადაც მათ შეუძლიათ თავისუფლად ამოისუნთქონ, რამდენიმე წუთით მაინც დაივიწყონ წყაული კუჭი. ოპ საშინელებაც, რა იქნებოდა, რომ მსმენელი ქალწული არ ახალისებდენ და აფხიზლებდენ მათს მოქანტულ სულს. გვრიტებივით შემომსხდარნი ირგვლივ სკამზე, სიხარულით აღავსებენ ხოლმე ჩვენს არსებას და ძალას გემატებენ, რათა ვსძლიათ დადლილობა და მხნედ ვიყენეთ.

აი, დარეკა... აუდიტორია ნელ-ნელ აივსო მსმენელებით. მე მოხერხებული ადგილი დავიჭირე: არც სრულიად წინ და არც სულ უკან, ისე, შუაში... უცებ ჩემთან მსმენელი ქალი მოვგვამანდა, მომიხლოვდა, მოკრძალებით ახადა სკამის უჯრა, ნახა რომ შიგ არავისი ქუდი არ იდო... მე არც კი დავცალე, და მოწიწებით უთხარი:

— მობრძანდით, აქ ჩემს მეტი არავინ ზის, შეგიძლიათ, ადგილი დაიჭიროთ...

— გმადლობთ, მიპასუხა მან და ჩემს გვერდით დაჯდა. მე თავისუფლად ამოვისუნთქე, შევხედე, მომეწონა, უცებ თავში აზრმა გაიბრძინა: „მოდი, დაუახლოვდები, თუ მიწერ-მოწერამ გასკრა, არც დასწუნარია, ავიღებ და შევიერთავ, მომპეზრდა სულ მარტობა... გადაწყვეტა ერთი იყო, დრო აღარ დამიკარგავს, შევეკითხე:

— თქვენ რომელ ფაქულტეტზე ბრძანდებით?
 — მეიყ? (გაგარბედა კითხვით) მე — ისტორიულზე..

— მეც! რიხიანად ვუპასუხე მე..
 შემოვიღა პროფესორი... დაიწყო ლექცია, განვიზრახე ლექციის მოსმენა, მაგრამ ისევ გადავფიქრე და ჩემს თანა-მესკამესთან მიწერ-მოწერის გამართვა გადავწყვიტე. ვინ იცის, ვიფიქრე მე, იქნებ ასეთი სასურველი თანა-მესკამე მეტი არც კი მომცეს შემთხვევამ, სჯობია, დრო არ დავკარგო, უნდა დავიწყო, მაგრამ... საიდან და როგორ? ვამიგონია, საქმის კარგად დაწყება ბევრს ნიშნავს...

პროფესორი ყვარყვარე ათაბეგს შეეხო... ბიჭოს! ეს ყვარყვარე აუცილებლად გამომადგება, განვივლი გულში, წამოვავლე ხელი ფანქარს და სალექციო რვეულში გაუსვი:

„ქ-ნო №, ჩემის აზრით სიტყვა „ყვარყვარეს“ ძირი „სიყვარ“ უნდა იყოს, ასე ვგრძნობ, რამდენად მართალია ჩემი გრძნობა, ამას თქვენი აზრი დამტკიცებს... დავასრულე და რვეული მისკენ, გავაცურე. თან მისი სახის ტერიტორიას თვალს ვადევნებდი, მაგრამ ზედ სანუგეშო ვერაფერი შევამჩნიე... წაიკითხა, დასწერა პასუხი და რვეული გამომიძურა. ვკითხულობ:

— მეგობარო X „სრულებით არა! მაგ სიტყვაზე

სრულებით არ მაქვს ისეთი ნაზი წარმოდგენა, როგორც არის სიყვარული; თუ კი არსებობს პოუხეშავი სიტყვა ქართულს სიტყვიერებაში, ეს უთუოდ „ყვარყვარე“, და ჩემის აზრით, ამის შემდეგ სიტყვის ძირი „ვარე“ უნდა იყოს, რაც მეგრულად უარს ნიშნავს, არას, და სრულებით მართალიც არის. აი, ჩემი პასუხი. №.

ცივი ოფლი დამასხა, ბელი არ მილიმის, ვხედავ, პირველ ნახიჯის გადადგმ-ზევე დამისხლტა ფეხი... მაგრამ, გულს არ ვაიტივებ, კიდევ ვცდი... დავიწყე წერა, მაგრამ, ჩემმა № მა სამჯერ ზედი-ზედ ამოიხენემა, და დასაწერათ აცმული შინაარსი ხელად შემიცვალა: მე დავსწერე:


„ქ-ნო №! თქვენ სამჯერ ასე მიძიმე ამოიხენე-შეთ, რაშია საქმე? შეიძლება ჩემგან რაიმე დახმარება შესაძლებელი იყოს?“ დავკეცე და რვეული მისკენ გადავაცურე. წაიკითხა, სახეზე მდებარეობა დაეტყუა, დასწერა პასუხი და რვეული უკანვე გამომისრიალა. ვკითხულობ, თვალები ავტომომბილის სისწრაფით ნთქავენ სიტყვებს.

მეგობარო X! რატომ მიგაჩნიათ შესაძლებლად თქვენი დახმარება? მე თქვენ ისე ვერ მიცნობ, რომ ყოველი ჩემი ამოხენეშაც კი გაცნობოთ, თუ რას ნიშნავს... სათვალავი კი არ შეგშლიათ, არ გირჩენიათ, რომ ის დათვალათ, თუ რამდენი მეფე ჰყავდა საქართველოს ვახტანგ მეფის შემდეგ...

დავიღუპე კაცი! ხედავ, სად გადამკრა შოლტი, მაგრამ ავიტან, რაეკნა, ეს რა ჯიუტი ვინმე შემხედა, რომ არ უტყდებოთ თავს!! არა, არ მოვეშვები, დიდხანს ვეღარ გამიძლებს... დავიწყე პასუხი... ჩვენმა მიწერ-მოწერამ დიპლომატიური ხასიათი მიიღო... ეს შეუმჩნეველი არ დარჩათ ჩემს ირგვლივ მჯდომ სტუდენტებს, რომელნიც ლექციის ჩაწერაში იყვენ ჩაბუნდნი, ხანდისხან წელში გასწორდებოდნენ შენიშნავდნენ რა ჩვენი რვეულის სრიალს, თვალებს და წარბებს საყვედურის გამომეტყველებით მოგვიმიზნებდნენ და ისევ ისე შეუღებოდნენ ლექციის წერას. ჩვენ კი საქმეს ვუბრუნდებოდით. მე განვაგრძე:

ქ-ნო №! თქვენს სტრიქონებში უმაღლესი მჭერ-მეტყველობა გამოსკვივის! მართალია, რიცხვი არ შემშლია! რატომ გგონიათ, რომ უცხო ვერ დაგეხმარებათ, უცხო დახმარება უფრო მნიშვნელოვანია! მეფეებთან მე საქმე არა მაქვს, წყალსაც წაუღია ყველა!.. გავათავე და გაუსრიალე რვეული... კითხულობს... აჰა, დასწერა კიდევ პასუხი და რვეული ჩემსკენ გამოაქანა:

მეგობარო X! ეს ისეთი რამ არის, რაზედაც ლაპარაკი შორს წაგიყვანს, დავანებოთ თავი სიყვარულის განსაზღვრას, რადგანაც ეს არც ისე ადვილია ჩემის აზრით, თუ ამაზე გსურთ მსჯელობა, სხვა დროს, თუნდაც გზაში ვიმსჯელოთ. წაიკითხე. ბიჭოს!.. აი, ნოტა და ულტიმატუმიც



აი როგორ დაეცა ბაზარზე ღონის ფულები.

თუ გინდა... „გზაში ვიძჯელოთ“... ვნახოთ, რა მოხდება გზაში, ნეტავ რა მანძილზეა უნივერსიტეტიდან?, შორს მაინც იქნებოდეს... მე გული დავიიმედე, დიპლომატიური მიწერ-მოწერა შეეწყვიტე, ავიღე თავი და წელში გავსწორდი. კარგად დავქანსულიყავ. პროფესორი ასაბუთებს, თუ რომელ წელში უნდა გამეფებულაყო მეფე კონსტანტინე, და იყო ის მეფედ მეფე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თუ არა. უცებ ჩემს წინ პატარა დაკეცილი ქალაღი დაეცა... ხელი ვსტაცე, გავშალე და ვკითხულობ:

„— ჯონდო! თუ ლექცია ძალიან არ გაინტერესებს, მოდი აქ, მყუდრო ადგილია და ვიქუქუნოთ! შენი ეგპრაქსი“... ბიჭოს! ეს ვინ მწერს?! მაგრამ მე ხომ ჯონდო არა მრქმევია? ნეტავ, ვინ დამარქვა? ამის ფიქრში ვიყავ, როცა უკანიდან ხმა მოისმა: „მოიტა ყმაწვილო, ეს წერილი ჩემია“ მე მყისვე მივაწოდე. ამხანაგმა წაიკითხა და აუდიტორიის კუთხისკენ გასწია... მივხვდი! ბარათი ალბად მას ესროლეს, მაგრამ როგორც სჩანს წერილზე „პერელიოტი“ გააკეთა და ჩემს წინ დაეცა... აი ეს მეორე ნაირი ხერხი მიწერ-მოწერისა: უმა-

ეთულო, ჰაერის საშვალებით, ვამბობ გუნებაში და თან იმაზე ვფიქრობ, თუ როდის გამოვიყენო ეს ახალი გამოგონება. აგერ ჩემს გვერდით, ცოტა მოშორებით მძინარე სტუდენტს ცხვირზე დაეცა ამგვარადვე დაკეცილი ქალაღი და გამოაღვიძა. მან ზარმაცად გაიწოდინა, ერთი ორი გრძლად დაამთქნარა და წერილის კოხვას შეუღდა, მაგრამ ამ დროს მასთან სხვა მივიდა, წერილი გამოართვა და ამგვარათ აღიდგინა უფლება მაზე... აქ წერილს „ნედლოლიოტი“, გაუკეთებია... გამოღვიძებულმა ნახა, „ხერიი“ არ იყო, ისევ წაყყო ცხვირი მკლავებში და მალე გულიანი ხვრინვა ამოუშვა... მე ძლიერ მომეწონა ეს ხერხი მიწერ-მოწერისა, გადავსწყვიტე მით მესარგებლნა, მაგრამ ეს „პერელიოტები“ და „ნედლოლიოტები“ ცოტა არ იყოს, კი მაფიქრებდა. ლექცია ვათავდა. ქ-ნი № უნდა გამეცილებია და გზაზე გავგეშარტა, თუ რა არის სიყვარული, მაგრამ ისევ გადავიფიქრე და სახლისაკენ გამოვსწიე... მაინცა და მაინც ჩემი №-ისთვის ეხლა არ მცხელოდა... მფრინავ წერილებით საგებლობის შესაძლებლობამ იმედი მომცა, რომ მხოლოდ ქ-ნ №-ით არ ისაზღვრებოდა ჩემი ბედი...

ლუკ-ოღლი.

ორი მეტოქე*)

(მოთხრობა ამერიკული. ავტორი — იტალიელი. მთარგმელი ქართველი.)

სიბუჩიჩს ამ გვარად დარჩა ბურთი და მოედანი და მას თავისუფლად შეეძლო განეგრძო მეცნიერული გამოკვლევანი, რომელთაც ის უნდა მიეყვანა ისეთ აღმოჩენამდის, რომლის წყალობითაც მას გაეღებოდა მუზეუმის კარები.

სხვათა შორის ის დიდხანია ცდილობდა აღმოეჩინა დაურღვეველი საბუთი უძველეს დროში ერთი უზარმაზარი ცხოველის არსებობისა; თუმცა ეს ცხოველი არასდროს არსებობდა, მაგრამ სიბუჩიჩის მოსაზრებით მას ოდესღაც უნდა ეცხოვრა.

სიბუჩიჩმა ისარგებლა თავისი მეტოქის საბოლოოდ დამარცხებით და გამეზავრა შორეულ ქვეყნებში საჭირო ცხოველის ნაშთის აღმოსაჩენად. მან მოიარა და გამოიკვლია ზღვა და ხმელეთი, მდინარენი და კუნძულნი, იწვალა 18 თვე, მაგრამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინა. ბოლოს დაღლილი, იმედ გატრეხებული და ნაღელიანი დაბრუნდა ქალაქში და ერთ მის განაპირა კუთხეში შეიძინა მიწა და მოაწყო სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის ლაბორატორიები, აკვარიუმები და ტერარარიუმები.

და აი, ამ მუშაობის დროს მიწის მთხრელები შემთხვევით წააწყდნენ ვეებერთელა ძვალს, რომე-

*) გავრძელება, იხ. № 2.

ლიც აღბათ შეადგენდა რომელიღაც უცნაურ ცხოველის ხერხემლის ნაწილს. ვაიგო თუ არა ეს აღმოჩენა სიბურჩინა, მაშინვე შესწყვიტა მან სხვა ყველა მუშაობა და შეუდგა მიწის თხრას დანარჩენ ძველების აღმოსაჩენად.

და მართლაც მისმა მუშაობამ მალე ნაყოფიც გამოიღო: ყოველ დღე მიწიდან ამოჰქონდა რაიმე ძვალი და ერთი თვის შემდეგ დაგროვდათ აუარებელი ძვლები სხვა და სხვა ზომის, მაგრამ ერთი ჩონჩხის ნაწილები. სულ ამოთხარეს რვაას ძვალზე მეტი და სიბურჩინი მრავალ მეცნიერთა დახმარებით მთელ ერთ წელიწადს მუშაობდა ჩონჩხის აღსადგენად. ბოლოს როგორც იქნა შეადგინეს ჩონჩხი, მხოლოდ უკანა ფეხის ერთი თითის ძვალი აკლდა. მაგრამ ეს დანაკლისი არა თუ არ აბრკოლებდა საქმეს, პირიქით ეს ამტკიცებდა, რომ ჩონჩხი არ იყო ყალბი, რადგანაც მართლა ხომ არ შეიძლება და რამდენიმე თას წლის განმავლობაში ყველა ძვალი შენახულიყო!

როცა ჩონჩხი მზად იყო, ის დახსნეს გადაიტანეს მუზეუმში და იქ კვლავ აღადგინეს და დადგეს განსაკუთრებით გაკეთებულ ფოლადის საფეხურებზე.

მოაწია საზეიმო სხდომის დღეც. მთელმა ქალაქმა მოიყარა თავი მეცნიერების მოედანზე. სიბურჩინს ხალხი შეხვდა დაუსრულებელი ოვაციებით.

მუზეუმის დარბაზი გაქედლი იყო ხალხით. ამერიკის მეცნიერთა საუკეთესო წარმომადგენლები აქ იყვნენ. დარბაზის ბოლოში სკამზე შენიშნეს აგრეთვე რაპაზონიც, რომელიც გამარჯვებულის ეტლზე მიკრულ ტყვეს დამსგავსებოდა.

როდესაც სიბურჩინი გამოჩნდა ესტრადაზე, რომელიც ჩონჩხის საფეხურთან იყო გაკეთებული, მთელმა ხალხმა ვააყრუა იქაურობა „ვა-შას“ ძახილით.

სიბურჩინი ერთი ხელით დაეყრდნო ჩონჩხის საფეხურს და დაიწყო თავისი სიტყვა. მიუხედავად ორმოცდაათი წლის ხნოვანებისა, სიბურჩინი ლაპარაკობდა აღფრთოვანებით და ჭბუკური ალტაცებით და ძალიან გავდა კარგ გუნებაზე მყოფ თხას.

მისი სიტყვის დასაწყისშივე დარბაზში გამეფდა სამარისებური სიჩუმე. დამსწრეთა თვალები, ღორნეტები და ბინოკლები მიაშტერდნენ ჩონჩხს, რომელზედაც სიბურჩინი ლაპარაკობდა. ჩონჩხი მართლაც არაჩვეულებრივი რამ იყო. თავისი უწნო და უხარ-მზარი ზომით და სხეულის ნაწილების განსაკვირვებელი უცნაურობით ის იწვევდა წარმოდგენას რაღაც ფანტასტიურ ცხოველისას.

სიბურჩინმა თავისი სიტყვა დაიწყო იმ შრომისა და მრავალ დაბრკოლებათა აღწერით, რომელიც მან განიცადა, სანამ აღმოაჩენდა იმ ცხოველის ნაშთს რომლის არსებობაც მან განსჭვრიტა მისი შემოკმედებითი აზრის გენიალური აღმფრენით. ახ-

ლა მისი მეცნიერული მოლოდინი უკვე განხორციელდა და მეცნიერებს მხოლოდ ის-და დარჩენია, რომ ახლად აღმოჩენილ ცხოველს მიუჩინოს თავისი ადგილი და აგრეთვე გამოიკვილოს თუ რომელ გეოლოგიურ ეპოქას ეკუთვნის იგი.

სიბურჩინის მიერ ამ სიტყვების წარმოთქმის დროს მოხდა ისეთი რამ, რასაც არავინ არ მოელოდა... დარბაზის ერთ კუთხეში უცებ მოისმა შეუკავებელი, ბოხი და ჰომერიული ხარხარი, რომელმაც სწრაფად მიიქცია საერთო ყურადღება. სიბურჩინი დაღუმა და მეცნიერული სხდომის წევრები კი წამოხტნენ თავისი ადგილებიდან რომ გაეგოთ თუ ვინ გაბედა და დაარღვია კრების წესიერი მიმდინარეობა. მათ დინახეს, რომ სკამზე შემდგარყო საწყალი რაპიზონი და ისეთი გაცხარებით ხარხარებდა, რომ მუცელს ძლივს იჭერდა ორივ ხელით.

— ხა-ხა, ხა-ხა, ხა-ხა, ხა-ხა, ხა-ხა, ხა-ხა!

ჯერ ყველა სდუმდა. შემდეგ გაისმა სიცილი სხვა კუთხეებიდანაც და ბოლოს, თითქოს უცებ მისწვდნენ ჭეშმარიტებასო, მთელმა პატივცემულმა კრებამ მორთო ხარხარი.

განრისხებული, შემკრთალი და გაწითლებული სიბურჩინი კი გაყვიროდა: „დამიმტკიცეთ! დამიმტკიცეთ!“

მაშინ რაპაზონმა, რომელიც განაგრძობდა ხარხარს, ამოიღო კბილიდან ძვალი და გადაისროლა ესტრადაზე. ეს იყო ის ძვალი, რომელიც ჩონჩხს აკლდა უკანა ფეხის თითზე. როდესაც საერთო სიცილი ერთის წუთით შესწყდა, რაპაზონმა დაიძახა: „გამოაძვრეთ ჩონჩხს ქვემო ყბის მარცხენა მხრიდან მესამე კბილი!“

რამდენიმე მეცნიერი მაშინვე მივარდნენ ჩონჩხს, მიიღვეს კბიე; ამოაძვრეს კბილი, და მის ხერელში იპოვეს დაკეცილი ქალაღი, რომელზედაც აღმოჩნდა შემდეგი წარწერა: „წურბლების სამაგიერო!!!“

მას შემდეგ, რაც არსებობს დედა მიწა, ქვეყანას არ სოდეს არ სმენია ასეთი სიცილი!

იცინოდა მეცნიერთა კრება, იცინოდა მოედანზე ხალხი, იცინოდა მთელი ქალაქი. იცინოდნენ მეეტლენი და ტრამვაის კონდუქტორები, იცინოდნენ საავადმყოფოებში ავადმყოფნი, ოთხად მოკეცილნი იცინოდნენ პოლიციელები, რომელთაც უკვე აღარ შეეძლო ქუჩებზე წესიერების დაცვა.

გაზეთ „ნიუ-იორკის“ რეპორტერი ეცა ტელეგრაფს, მაგრამ დებეშები ვერ გააგზავნა, რადგანაც ტელეგრაფისტებს სიცილისაგან ღონე წართმეოდათ და აპარატს თიის ვერ აკარებდნენ.

სხდომის დარბაზში ალიაქოთმა მიაღწია უმაღლეს წერტილს. ბევრ მსცოვან მეცნიერს დამბლა დაეცა სიცილისაგან და იატაკზე მგორავ მოხარ-

ხარე ექიმებს კი აღარ შეეძლოთ მათთვის დახმარების აღმოჩენა.

სიბუტიჩი სადღაც გაიპარა, მაგრამ მისი დარდი ვიღას ჰქონდა!

როდესაც ცოტათი სიწყნარე ჩამოვარდა, ესტრადაზე ავიდა რაპაზონი და მოკლეთ განმარტა, თუ როგორ მოიგონა მან სიგიჟე იმისათვის, რომ უფრო მოხერხებულად გადაეხადა სამაგიერო თავის მეტოქისათვის, თუ როგორ ჩაფლა მიწაში სიბუტიჩის მოვზაურობის დროს სხვა და სხვა ცხოველთა ძვლები, დაწყებული გველეშაპის ჩონჩხით და გათავებული სპილოსა და მაიმუნის ძვლებითი იმ ანგარიშით, რომ ყველა ამ ძვლებს შეედგინა ერთი მთლიანი ჩონჩხი, თუ როგორ აყიდვინა სიბუტიჩს შემდეგ ეს მიწა და სხვ.

მისი განცხადების მოსმენის დროს ისევ იფეთქა სიცილმა და ისე მოედო ყველა მსმენელს, რომ ყოველ კუთხიდან გაისმა: „კმარა! კმარაო!“ ასე რომ საჭირო შეიქნა კრების დახურვა.

(შემდეგი იქნება)

უკანასკნელი წუთი.

ჩვენმა რედაქციამ ეს არის მიიღო შემდეგი ცნობა: ქალაქის თვითმართველობამ სასტიკი სასწრაფო განკარგულება მოახდინა, რათა დაიხშოს და დაიგმანოს თბილისში არსებულ სახლების ყველა ბუხრის მიღები. ამ მიზნისათვის დაქირავებულია 2000 კალატონი და ჰეიქრობენ, რომ ერთი კვირის განმავლობაში თბილისის სახლების სახურავებიდან კვამლის ქაჭანიც არსად იქნება. მიზეზი ამ ფიცხელი განკარგულებისა ის გახლავთ, რომ წუხელის, ღამის პირველ საათზე, წყნეთის ქუჩაზე, 23 მე №-ის სახლში, სახურავიდან ბუხრის მილის საშუალებით ჩამძვრალა ამავე სახლის პატრონი, რომლის ბინა რეკვიზიტის წესით ყოფილა ჩამორამებული და თითონ სახლის პატრონი უბანაოთ დარჩენილა. სასოწარკვეთილ სახლის პატრონს სხვა ღონე ვეღარ გამოუნახავს და მილით ჩამძვრალა თავის ყოფილ ბინაში.

ბუხრის მილების დახშვას გარდა იმისა, რომ ზემოდ აღნიშნულ შემთხვევის გამეორებას ბოლოს მოაუღებს, კიდევ ის მნიშვნელოზა აქვს, რომ ამ უშეშობის დროს ისედაც გაყინულ სახლებში ბუხრის მილებიდან ქარი და სიცივე ვეღარ ჩაატანს ოთახებში და ცოტათი მაინც მოათბობს გაცივებულ ჰაერს.

ფოსტა.

იაგოგს—სიაზოვნებით ვებქდავთ თქვენი ლექსის ერთ კუბლეტს:
რალა ბევრი გავგარძელო

ეგ არის ჩემი დარგი,
გძელი სიტყვა მოკლეთ ითქვას
ასე არის ჩემთვის კარგი.

დაგვერწმუნეთ, რომ ეს გარემოება ჩვენთვისაც კარგი და სასიამოვნოა.

წრუწუნას—არ დაიბეჭდება.

ხაშურელს—ვერ გამოდგა.

შიათანს—თქვენს წერილს მეგობარო ორი პატარა ნაკლი აქვს: გრძელია და მოსაწყენი. შეიძლება რომ შეამოკლებთ და ცხრაჯერ გაამზიარულეზდეთ სიაზოვნებით დაგებულად.

ნ-რ ციმბირელს. არ დაიბეჭდება.

ცქელიფს. არ დაიბეჭდება.

ფუტკარს. არ დაიბეჭდება.

გ. გიორგიშვილს. საერთოდ თქვენი ლექსი: „საქართველოს მტრებს“ გვანიშნებს ავტორის შორეულ ნათესაობას სოლომონისადმი. გამოანაკლის შეადგენს მხოლოდ ეს ერთი კუბლეტი:

„მეზობელ ერმაც შენ გილაღატა,
პარტია არის დაშნაკუტკინი,
მაშინ რა უთხრა შავრაზმელ ხალხსა.
რომ მეთაურობს მათ დენიკინი.“

აქაც, რასაკვრელია ძალ-დატანება გეტყობათ და დენიკინის გულისათვის „დაშნაკუტკინი“ დაგიზინჯებია. რალა ვაღამაზინჯება სჭიროდა

მაწანწრელს. „თხოვნა“ არ მიიღება არა იმიტომ რომ ღერბის მარკა, არამედ იმიტომ რომ შინაარსიც აკლია.

გ. ლომთათიძეს. თქვენი ლექსი „დათვის გაჩენა“ არ დაიბეჭდება. გვეყო რაც ჩვენ დათვებისგან ტანჯვა—წვლევა გამოვიარეთ.

მასვე, მით უმეტეს მოუღებელია ჩვენს ჟურნალში „ქანდარმის გაჩენაზე“ წერა. ეშმაკმა წაიღოს იმისი თავიც და იმისი გაჩენის ლექსიც.

რ. ჯიბილს თქვენი „გურული სცენა“ უფრო „საქართველოს რესპუბლიკის“ მოწინავეთ ივარგებს, ვიდრე ჩვენი ჟურნალისათვის, იმდენათ სერიოზული კილოსია.

გვარდიელ გრიშა კაკულიას. თქვენი ლექსი აქ იწყება:

„მახსოვს მხოლოდ ის ბნელი ღამე,
როცა ზეციდან შუქს ფენდა მთვარე,“

წარმოიდგინეთ, თვით გვარდიის ხელმძღვანელს, ვალეკო ჯუღელდუასაც არ უნახავს ისეთი ბნელი ღამე, როცა შუქს ფენდა მთვარე. ბედნიერი კაცი ყოფილხართ.

ისმაილის ნათლულს ჩვენ გვესმის თქვენი ვასპირი, როცა სწერთ:

„თუმც რომ მესტიერე არა ვარ,
და არც მაქვს მისი უნარი,
მაგრამ რას ვიზამ, როდესაც
მეწვევა მუზა, სტუმარი“.

აი რა უნდა ჰქნათ: „დაუპატივებელი სტუმარი თათარზე უარესიაო“ ანდაზის თქმით. თქვენც აიღეთ ჯობი და მიცხეთ იმ უსინდისოს, რომელიც ასე უღმერთოდ გაწუხებს თქვენც და ჩვენც.

მისი ქვეყანა



„საკლავო“ ჩვენ ყოველგვარს პარტიზმს მხალა ჭეჭრით რას ვკარგავთ...
კაპიტალიზმი. ჩუმით, არავინ გაიგონოს...



სახელმწიფო სტიმბა.